პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 131 (5681)

4 1976 წ. ივლისი. კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## დიდი ამოცანების წინაშე

## ფიზიკურად და სულიერად

„რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ეწევა მრავალმხრივ მუშაობას, რათა კომუნისტებსა და კომკავშირლებს, მუშებსა და კოლმეურნეებს, ინტელიგენციასა და ახალგაზრდობას, ხელმძღვანელ კადრებს ჩაუნერგოს კომუნისტური იდეურობა, მაღალი პოლიტიკური შეგნება, საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობა, თითოეულ შრომით კოლექტივში, მთლიანად რესპუბლიკაში შექმნას ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფერო", — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში იმ საკითხზე, „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ „კოლმეურნის" ცენტრალურ საბჭოში თავის დროზე დიდი გამოხმაურება პოვა. რამდენიმე დღის წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა იმსჯელა იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ამ დადგენილებას. აღინიშნა, რომ საქართველოში სწორი დასკვნები გამოიტანეს და მნიშვნელოვანი ნაბიჯიც გადადგეს მშრომელთა პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით.

წინსვლა იგრძნობა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაშიც. მწვრთნელებისა და სპეციალისტების უმრავლესობამ გააუმჯობესა მუშაობა და ახლა ნამდვილად სწორ გზას ადგას. დღითი დღე იზრდება და ფართოვდება სპორტული ბაზების ქსელი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შეინიშნება ძველად ფეხმოკიდებული ნეგატიური მოვლენების კვალი, მოსახლეობაში მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის დონის ამაღლებისთვის ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებული დადგენილება ახალ ამოცანებს გვისახავს და ჩვენც, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს კოლექტივის წევრები ყოველ ღონეს მივმართავთ მის შესასრულებლად, ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი ახალგაზრდობის აღსაზრდელად.

**ნ. ხომხიშვილი,**
„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

## ძველი დიდების დასაბრუნებლად

ყურადღებით გავეცანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

ამ მიმართებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების, აგრეთვე, სხვა პარტიული კომიტეტების მიერ გაწეული მუშაობის დადებითად შეფასებამ ჩემში გულწრფელი სიხარული გამოიწვია.

პრესა, რადიო და ტელევიზია პირველი მაცნენი არიან ყველა დიდი გამარჯვებისა. ისინი განუხრელი, მტკიცე იარაღი უნდა იყოს ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლაშიც, ხარვეზები კი სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება და მათი საბოლოოდ გამოსწორებისთვის ყველა ჩვენგანმა, საქართველოს თითოეულმა მკვიდრმა, ყოველმა მისმა მცხოვრებმა უნდა ვიზრუნოთ.

მე პირადად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის ლინოტიპისტი ვარ და თითქმის ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტს აწყობისას, მანამდე ვეცნობი, ვიდრე იგი მკითხველთა ფართო მასამდე მივა.

სპორტიც მიყვარს — დედაქალაქის ფეხბურთელთა ჩემპიონატში ვმონაწილეობ და ვისურვებდი, რომ ის ძვრები, რაც ფიზკულტურასა და სპორტში მოხდა, კიდევ უფრო გაძლიერდეს, რათა ჩვენმა რესპუბლიკამ საკავშირო სარბიელზე ძველი დიდება დაიბრუნოს.

**ვ. ძნელაძე,**
პირველთანრიგოსანი ფეხბურთელი.

## ეს ერის საქვეყნოა

# შრომას სპორტიც შვენის!

„...ბიჭებმა გამარჯვებული ფალავანი ხელში ავიტაცეთ. ვინ იყო ეს გამარჯვებული? წარსულში შესანიშნავი სპორტსმენი, პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი შოთა ეცადაშვილი. დღეს არ ვიცი იქ, გურჯაანში, როგორაა სპორტული ბაზების საქმე, თუ კარგადაა, ხომ სანაქებოა, თუ არა და წარსული მაინც გავიხსენოთ და ყურძნის დიდ მოსავალთან ერთად ქართულ სპორტსაც შევუწყოთ ხელი".

სწორედ ამ სტრიქონების წაკითხვამ აგვაღებინა კალამი ხელში.

ჩვენი სახიქადულო მამულიშვილის, პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ეს სიტყვები (წერილი 10 აპრილს დაიბეჭდა „ლელოში") თითოეული გურჯაანელის ნაფიქრალს გამოხატავს. გურჯაანის რაიონი ეს ხომ ჩვენი რესპუბლიკის ხვავისა და ბარაქის ბეღელ-მარანია.

გურჯაანის ხსენებაზე ყველა ქართველის ასოციაციაში მზით გარუჯული კახელი გლეხის ალალი სახე და ციფრი 80.000 აისახება...

მაგრამ ჩვენ, გურჯაანელებს, მარტო შრომაში პირველობა და „ოთხმოცათასელთა" სახელი რომ არ გვაკმაყოფილებს? გურჯაანს სპორტშიც დაშვენდებოდა პირველობა, მაგრამ ვაი, რომ ამ მხრივ რაიონი ერთ-ერთი უკანასკნელთაგანია რესპუბლიკაში. მოდით, რეალურად ჩავიხედოთ გურჯაანის სპორტულ ცხოვრებაში და ვნახოთ, რა მდგომარეობაა. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი რიგზეა: მზადდება თანრიგოსნები, აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს, თითქმის ყველა სოფელშია მარტივი საფეხბურთო მოედნები, პერიოდულად ეწყობა რაიონის პირველობები სხვადასხვა სახეობაში, ხანდახან რესპუბლიკის ზონალურ პირველობებშიც გამოჩნდებიან ხოლმე რაიონის ნაკრები გუნდები. იტყვით, რას ერჩით, სპორტული გურჯაანი მოწინავეთა შორის თუ არაა, არც მაინცდამაინც ჩამორჩენილაო. სინამდვილეში კი, თუ რამე კეთდება, ყველაფერი უღიმღამოდ, მხოლოდ ვალდებულების მოხდის მიზნით. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გაკეთდეს რაღაც.

დღეს ბევრს წერენ სოფლიდან ახალგაზრდობის ლტოლვაზე ქალაქისკენ და მიზეზად ბევრ ფაქტორს ასახელებენ. მათ შორის ვფიქრობთ, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანია სოფლად სპორტის ჩამორჩენაც.

თბილისში მრავლად გვხვდებიან რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდები, რომლებიც ამჯობინებენ რა ადგილზეც გინდათ იმუშაონ ქალაქში, ვიდრე „იტრიალონ" სოფლად. ისინი ხშირად ამის მიზეზად ასახელებენ სოფლის ცხოვრების ერთფეროვნებას, სპორტული თუ კულტურული გართობის არარსებობას. მართლაც და, აღარ აკმაყოფილებს თანამედროვე სოფლის ახალგაზრდობას ერთფეროვან თემებზე შექმნილი კინოფილმების ყურება სასოფლო კლუბებში, ანდა გაუთავებელი ქეიფი...

რომ ვთქვათ, გურჯაანს წყალბურთის ან ჰოკეის დიდი ტრადიციები ჰქონდაო, არ იქნება სიმართლე, მაგრამ ჭიდაობით რომ ჭიდაობდნენ და ფეხბურთსაც დიდი გატაცებით თამაშობდნენ, ამაში ყველა დაგვეთანხმება. არც ისე დიდი ხნის წინათ გურჯაანის „ალაზნის" ფეხბურთელები „ბ" კლასის მეორე ლიგაში გამოდიოდნენ და ფეხბურთის დღე ნამდვილი ზეიმი იყო არა მარტო გურჯაანის რაიონში, არამედ მთელს კახეთშიც. „ალაზნის" 10-ათასიან სტადიონზე ტევა არ იყო ხოლმე. თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირი იყო ისეთი მატჩებიც, როცა ბილეთის შოვნა დიდ პრობლემას წარმოადგენდა.

ლამაზი სიზმარივით შემორჩა გურჯაანელთა მეხსიერებას „ალაზნის" სტადიონზე ჩატარებული ამხანაგური მატჩები მოსკოვის „ტორპედოსთან", მინსკის „დინამოსთან", მოსკოვის „დინამოსთან", თბილისის „დინამოსთან". გურჯაანელი მაყურებელი მოუხიბლავთ სტრელცოვს, მალოფეევს, ივანოვს, ვორონინს, მესხს, მეტრეველს და ვინ მოთვლის, ფეხბურთის კიდევ რამდენ დიდოსტატს. დღეს კი „ალაზანმა" დათმო პოზიციები, ჯერ „ა" კლასს გამოეთხოვა, შემდეგ კი საქართველოს პირველობის I ჯგუფსაც და ახლა გამოდის II ჯგუფის ზონაში. მაგრამ ვაი ამ გამოსვლას. „ალაზნის" თამაშს სპორტის უშუალო მესვეურნი და სტადიონისუბნელი გოგო-ბიჭები თუღა ესწრებიან. მოწყენილი ჩანს წვიმისა და მზისგან გახუნებული, მოუვლელი ტრიბუნები.

რით შეიძლება გაიმართლონ თავი რაიონის ხელმძღვანელობამ და სპორტის მესვეურებმა? იქნებ იმით, რომ გურჯაანს არა აქვს ფეხბურთის ტრადიციები? როგორ დავიჯეროთ, რომ რესპუბლიკის ერთ-ერთ ყველაზე დიდ რაიონში, სადაც ოცდაათამდე სოფელი შედის, 11 ახალგაზრდა ვერ გამოიძებნა ფეხბურთისთვის? ნუთუ უკეთესი პირობები ან საფეხბურთო ტრადიციები აქვთ ბოლნისს, ასპინძას, აწყურს, საგარეჯოს და სხვა რაიონებს?

მაგრამ დავუშვათ, რომ მართლაც არის ხელშემშლელი მიზეზები. ნუთუ აღარ უნდა დადგეს ის დრო, რომ გურჯაანის რაიონი სპორტშიც მოწინავე იყოს, ნუთუ დრო არ არის, რომ პარტიისა და მთავრობის 1974 წლის 8 ივნისის დადგენილება „ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ" გურჯაანელებმა ყურადიღონ?

ამ საგაზეთო წერილში კონკრეტულ დამნაშავედ არავის ვასახელებთ, ვინაიდან სპორტის ჩამორჩენაში ყველა გურჯაანელს მიუძღვის ბრალი. ოღონდ გვინდა შევახსენოთ გურჯაანელებს, რომ სასახელო შრომას სახალისო დასვენებაც უნდა მოსდევდეს, რათა მარტო შრომითი გმირობით არ ვამაყობდეთ!

**ჯ. ხარიტონაშვილი, რ. ხატიაშვილი, დ. მინდორაშვილი, ა. ციხკარაშვილი, ნ. ჯეირანიშვილი,**
თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომლები.

## ნაკრები დაკომპლექტდა

ბათუმში ორ დღეს გაგრძელდა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირადი ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებითს სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ფოთისა და ბათუმის 40-მდე სპორტსმენი.

ორჭიდში (წინაღობათა ზოლის 100-მეტრიანი გადალახვა და საიერიშო კიბით მეოთხე სართულზე ასვლა) გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, ფოთელმა სპორტის ოსტატმა თ. კიზირიამ — 31,7. II ადგილზეა მისი თანაქალაქელი, სპორტის ოსტატი ი. პატარაია — 32,8, III — მ. იჩმელიანი (სოხუმი) — 33,4.

წინაღობათა 100-მეტრიანი ზოლის გადალახვაში ყველას აჯობა პატარაიამ — 17,4. მას 0,2 წამით ჩამორჩა ბათუმელი სპორტის ოსტატი მ. დუმბაძე. III ადგილი დაიკავა ქუთაისელმა ზ. ხარჩილავამ — 18,0.

საიერიშო კიბით მეოთხე სართულზე ასვლაში ჩემპიონი გახდა იჩმელიანი — 14,8. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ პატარაია (15,8) და დუმბაძე (16.0).

დაკომპლექტდა „დინამოს" ნაკრები, რომელიც დონეცკში ცენტრალური საბჭოს პირველობაში იასპარეზებს.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## ექსპედიცია მიემგზავრება

ამ დღეებში პამირს მიემგზავრება ქართველ მოსიმაღლე მთამსვლელთა ექსპედიცია 25 კაცის შემადგენლობით, რომელსაც სპორტის ოსტატი შ. მირიანაშვილი ხელმძღვანელობს.

ექსპედიციის ძირითადი მიზანია სიმაღლოვანი ტრავერსის ჩატარება მოსკოვის სახელობის მწვერვალის რაიონში. ტრავერსში 11 მწვერვალია, რომელთა უმრავლესობა 6000 მეტრს აღემატება და ჯერ კიდევ აუღებელია.

## სასახლის იუბილეს მიეძღვნა

თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩმა მთამსვლელებმა თრიალეთზე დაიპყრეს ცხრა წყაროს ქედის უმაღლესი (2850 მ) — ყარა-ყაიას მწვერვალი. ასვლაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ყაზბეგელი და ბაკურიანელი მოსწავლეები.

ნორჩმა მთამსვლელებმა ეს ასვლა სასახლის 35-ე წლისთავს მიუძღვნეს.

## პიონერთა სპორტული ოლიმპიადა

**პრეშოვი**, 30 ივნისი. (საკდესის კორ.). აღმოსავლეთ სლოვაკიის ამ ქალაქში გაიხსნა პიონერთა სპორტული ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირის, გდრ-ისა და ბულგარეთის მოსწავლეები. ოლიმპიადას ესწრებოდნენ სტუმრებიც საფრანგეთიდან და ფინეთიდან.

ოთხი სოციალისტური ქვეყნის ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა რვა დღის განმავლობაში უნდა იასპარეზონ მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, ცურვაში, მაგიდის ჩოგბურთში, ველოკროსში, ჭადრაკში. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაშია მოსკოვის, კიევის, დნეპროპეტროვსკის, კრასნოდარის, თბილისისა და მინსკის წარმომადგენელი 70 მოსწავლე.

## პრიზის გადაცემა

**ბუქარესტი**, 29 ივნისი. (საკდესის კორ.). რუმინეთის სპორტისა და ფიზაღზრდის ეროვნულ კომიტეტში ევროპის ჩემპიონს სპორტულ ტანვარჯიშში ნადია კომანეჩის გადაეცა 1975 წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალის დასასახელებლად საკდესის მიერ მოწყობილი საერთაშორისო ანკეტის პრიზი და დიპლომი.

პრიზის გადაცემას ესწრებოდნენ რუმინეთის ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარე ელენა პოპარადი, ფედერაციის უფროსი მწვრთნელი მარია სიმიონესკუ, კომანეჩის მწვრთნელი ბელა კაროლი, კომიტეტის საოლქო განყოფილების წარმომადგენელი კ. მატაკე და გაზეთ „სპორტულის" პასუხისმგებელი მდივანი კ. მაკოვეი.

ზემოხსენებული ანკეტით პირველი პრიზი დაიმსახურა მსოფლიო რეკორდსმენმა ბადროს ტყორცნაში ფაინა მელნიკმა, მეორე — მსოფლიო რეკორდსმენმა ცურვაში, გდრ-ის სპორტსმენმა კორნელია ენდერმა. ანკეტის შედეგებით, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს უდიდესი სააგენტოების სპორტული მიმომხილველები, III ადგილი დაიკავა ნადია კომანეჩიმ.

## რეკორდები

**ოსლო**, 1 ივლისი. (საკდესი). ახალზელანდიელმა ჯონ უოკერმა, რომელიც 1500 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ჯილდოს ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტად ითვლება, აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა 2000 მეტრზე — 4.51,4. მიღწევა, რომელიც ფრანგ მიშელ ჟაზის ეკუთვნოდა 1966 წლიდან, გაუმჯობესებულია 4,8 წამით. 1500-მეტრიან მონაკვეთზე უოკერის შედეგი იყო 3.38,0.

## გზა მონრეალი-76

● **რაბათი**, 1 ივლისი. მაროკოში დიდი წარმატებით ჩატარდა მოსკოველი ტანმოვარჯიშეების საჩვენებელი გამოსვლები. სტუმართა შორის იყო სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, გუნდურ ჩათვლაში ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი ვ. კლიმენკო. საბჭოთა ტანმოვარჯიშეები გამოვიდნენ რაბათში, კასაბლანკაში, მარაკეშში, ფესში და იუსუფიაში, აგრეთვე, მაროკოს ნაკრების წევრებთან ერთობლივი საწვრთნელი მეცადინეობები ჩაატარეს.

● **ბელგრადი**, 2 ივლისი. როგორც ვიუწყებოდით, საგზატკეცილო ველორბოლაში სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები უკვე მონრეალში გაფრინდა, მაგრამ მისი ერთი წევრი, კუიბიშეველი ა. ავერინი კანადაში მოგვიანებით ჩავა — იგი იუგოსლავიის მრავალდღიან ველორბოლაში მონაწილეობს. 7 ეტაპის შემდეგ სწორედ ავერინია ლიდერი — 16:20.43. II ადგილზეა ფრელიჩი (იუგოსლავია) — 16:20.53, ხოლო III — ლენინგრადელი ს. მოროზოვი — 16.25.01. გუნდურ ჩათვლაშიც საბჭოთა ველოსიპედისტები ლიდერობენ.

● **მოსკოვი**, 2 ივლისი. სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა „კუნცევოს" სპორტულ დარბაზში ოლიმპიადისთვის სამზადისის პროგრამით საკონტროლო მატჩი ჩაატარა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორთან — გდრ-ის ეროვნულ გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 15:11 (10:5).

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

# წარმატებას გისურვებთ, ჩვენო ქალიშვილებო და ჭაბუკებო!

**გუშინ ლვოვში დაიწყო მოსწავლეთა XIV საკავშირო სპარტაკიადა. სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობებში სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლე სპორტსმენებიც. ლვოვში გამგზავრების წინ ჩვენმა კორესპონდენტმა დ. ჭელიძემ რამდენიმე შეკითხვით მიმართა რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილეს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზაღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსს რ. აიწურაძეს. მოგვყავს ეს ინტერვიუ.**

ლელო ინტერვიუ

● **გთხოვთ გვიამბოთ როგორ ემზადებოდნენ ჩვენი მოსწავლეთა გუნდები საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობისთვის.**

— საქართველოს მოსწავლეები იასპარეზებენ სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ოცივე სახეობაში. სულ სარბიელზე 636 ბავშვს გამოვიყვანთ. გუნდების კანდიდატთა ოსტატობის დონის ასამაღლებლად სისტემატურად ტარდებოდა რესპუბლიკური შეჯიბრებები, საკონტროლო შეხვედრები, მატჩები და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ნაკრები გუნდებისთვის სამეცადინოდ გამოიყო დედაქალაქის საუკეთესო სპორტული ბაზები. სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისთვის ნაკრებ გუნდებს მივამაგრეთ კვალიფიციური საექიმო პერსონალი...

● **წინა წლებთან შედარებით მზადების პროცესში ხომ არ იყო რაიმე სიახლე?**

— როგორც ცნობილია, ასპარეზობის მსვლელობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები. ამიტომ ნაკრებ გუნდებთან სამუშაოდ მოვიწვიეთ კვალიფიციური ფსიქოლოგები. გარდა ამისა, გუნდებს მივამაგრეთ საერთო ფიზიკური მომზადების სპეციალისტი-მწვრთნელები. საქართველოს სპორტკომიტეტსა და განათლების სამინისტროსთან შეიქმნა შტაბი, რომელიც კონკრეტულ დახმარებას გვიწევდა და აქტიურად იყო ჩაბმული ნაკრები გუნდების მზადების პროცესში. საქმიან, პრაქტიკულ მოსაზრებებს გვაწვდიდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის, საქართველოს პროფსაბჭოს, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების მოწინავე სპეციალისტები, ხელმძღვანელი მუშაკები.

● **როგორც ცნობილია, ბავშვთა სპორტის განვითარება ჩვენში ბევრგან საგრძნობლად ჩამორჩა. საინტერესოა, მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებში როგორღაა ამ მხრივ საქმე?**

— ბავშვთა სპორტის განვითარება რესპუბლიკაში საგრძნობლად ჩამორჩა. ამგვარი დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს მოსწავლეთა უფერული გამოსვლებიც ბოლო წლების საკავშირო სპარტაკიადებში. პოზიციები დათმეს ერთ დროს მოწინავე ქალაქებმა და რაიონებმა. მივმართოთ ფაქტებს. მოსწავლეთა ნაკრები გუნდების შემადგენლობაში შეყვანილი 636 კანდიდატიდან თბილისშია აღზრდილი 329, ქუთაისში — 60, აფხაზეთში — 51, რუსთავში — 69. სამხრეთ ოსეთიდან მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში მხოლოდ 4 სპორტსმენია. რესპუბლიკის 52 ქალაქიდან და რაიონიდან მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებში არც ერთი კანდიდატი არ ირიცხება. ეს მაშინ, როცა ყველა რაიონსა თუ ქალაქში მუშაობს განათლების სამინისტროს სისტემის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები, სხვადასხვა საზოგადოებისა და უწყების სპორტული სკოლები და ჯგუფები. მიუხედავად იმისა, რომ თბილისი სპორტსმენთა 60 პროცენტს აძლევს რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებს, ბავშვთა სპორტის განვითარებისთვის მუშაობის დონე აქაც შორს დგას თანამედროვე მოთხოვნებისგან. ანალოგიური მდგომარეობაა აჭარასა და აფხაზეთში, ქუთაისსა და რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებში.

სპორტსაზოგადოებები და უწყებები ბავშვთა სპორტის აღორძინებისთვის ჯერ კიდევ ვერ იყენებენ ყველა შესაძლებლობას. მოსწავლეთა ნაკრები გუნდების 636 კანდიდატიდან განათლების სამინისტროს სისტემაში აღზრდილია 433 მოსწავლე-სპორტსმენი, ხოლო სპორტსაზოგადოებების ხაზით — 203. „ბურევესტნიკს“, „შრომით რეზერვებს“, „სპარტაკს“, „ლოკომოტივს“, „კოლმეურნეს“ და „ვოდნიკს“ ერთად აღებულთ მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებში მხოლოდ 62 სპორტსმენი ჰყავთ.

● **როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 8 ივნისის დადგენილება რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის საქართველოს სპორტკომიტეტის მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში არსებულ ხარვეზებსაც შეეხო. რა ღონისძიებებს ახორციელებს განათლების სამინისტრო არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად?**

— იმ ძვრების გარდა, რაც რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში ხდება, ამ ბოლო ხანს თვალსაჩინოა საზოგადოებრივი აზრის შემობრუნება ფიზკულტურისა და სპორტის სასარგებლოდ. განათლების სამინისტრომ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად, მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასა და ბავშვთა სპორტის განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი: ბოლო ორი წლის განმავლობაში რესპუბლიკის სკოლებისთვის აშენდა და მწყობრში ჩადგა 100-ზე მეტი სპორტული დარბაზი; ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების რიცხვმა 115-ს მიაღწია. გაიხსნა კალათბურთის, ცურვის, ხელბურთის, ფრენბურთის, ნიჩბოსნობის, ფეხბურთის, მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლები. რესპუბლიკის რიგ მსხვილ ქალაქებსა და რაიონებში ექსპერიმენტის სახით გაიხსნა და კვლავაც გაიხსნება გახანგრძლივებულდღიანი სწავლების სპეციალიზებული კლასები სპორტის სახეობათა მიხედვით; გაიზარდა რესპუბლიკური შეჯიბრებების რაოდენობა, ამაღლდა მათი ხარისხი; ჩატარდა აქტივის კრება, რომელმაც განიხილა განათლების სამინისტროს სისტემაში ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა; შემუშავდა პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმა, რომელშიც კონკრეტულადაა გაანალიზებული სკოლებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის გაუმჯობესების გზები და საშუალებანი. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საკითხებზე ხშირად იმართებოდა და იმართება პრინციპული სჯა-ბაასი განათლების სამინისტროს კოლეგიებზე.

ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის ყველა სფეროში მნიშვნელოვნად გაძლიერდა მომთხოვნელობა, შესრულების კონტროლი და შემოწმება. გააქტიურდა ბრძოლა უდარდელობის, ბიუროკრატიზმის, სიყალბის, ფორმალიზმისა და თვალის ახვევის ფაქტების წინააღმდეგ. ვამყარებთ უფრო საქმიან კონტაქტს საქართველოს სპორტკომიტეტთან, საქართველოს პროფსაბჭოსთან, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან. წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების რესპუბლიკური მაჩვენებლები.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. არსებული მდგომარეობის საფუძვლიანმა ანალიზმა, მრავალმხრივმა შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ განათლების ორგანოებს ჯერ კიდევ არ გადაუქცევიათ ყოველდღიური მუშაობის პროგრამად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, არ გამოუტანიათ მასში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებიდან სათანადო დასკვნები. სკოლებში შესრულებული არ არის უდიდესი მნიშვნელობის მოთხოვნა — გადაიქცეს ფიზკულტურა ნამდვილ სასწავლო საგნად. ფიზკულტურის გაკვეთილები ხშირად უფერულად და უინტერესოდ ტარდება, კვლავ სუსტად ვითარდება მასობრივი სპორტი. სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს კლასგარეშე მუშაობაში. განათლების სამინისტროს სისტემის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების უმრავლესობა ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. ბევრ სკოლაში პრიმიტიულ დონეზე ტარდება სასწავლო-საწვრთნელი პროცესი. სპორტული სკოლების 60 პროცენტი ვერ ასრულებს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

განათლების სამინისტრო ახორციელებს და კვლავაც განახორციელებს ეფექტურ ღონისძიებებს სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების, სპორტული სკოლების მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისთვის.



# „სპარტაკი“ უძლიერესია

თბილისში დამთავრდა საქართველოს ახალგაზრდული გუნდების ჩემპიონატი რეგბიში. მონაწილეობდნენ თბილისის „სპარტაკის“, უნივერსიტეტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და პოლიტექნიკური ინსტიტუტების კოლექტივები, აგრეთვე, ქუთაისის „ბიმშენი“.

ჩემპიონი გახდა „სპარტაკი“ (მწვრთნელი ბ. კევლიშვილი), რომელმაც დაამარცხა ქუთაისის (17:6), პოლიტექნიკური (21:14) და სასოფლო-სამეურნეო (32:0) ინსტიტუტების გუნდები. ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი სპარტაკელებს უნივერსიტეტის რეგბისტებთან ჰქონდათ. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 3:3. ამ გუნდებმა 7-7 ქულა მოაგროვეს, მაგრამ სპარტაკელებს ბურთების საუკეთესო ბალანსი (73:23) აღმოაჩნდათ და ჩემპიონობაც მათ ხვდათ. გამარჯვებულ გუნდს გადაეცა სპეციალური თასი, მოთამაშეებსა და მწვრთნელს — პირველი ხარისხის დიპლომები და საჩუქრები.

სპარტაკელი რეგბისტებისთვის წლევანდელი წელი იღბლიანი გამოდგა — თბილისისა და რესპუბლიკის პირველობებში III საპრიზო ადგილები დაიკავეს („ივერიისა“ და „ლოკომოტივის“ შემდეგ), ახლა კი გამარჯვება მოიპოვეს. ეს წარმატება იმან განაპირობა, რომ „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობა გუნდთან მჭიდრო კონტაქტშია და ყოველნაირად უწყობს ხელს მის წინსვლას.

II ადგილზე გავიდა უნივერსიტეტის კოლექტივი (მწვრთნელი გ. აბაშიძე). სტუდენტ სპორტსმენთა დაოსტატებას ხელი შეუწყო ამას წინათ ჩეხოსლოვაკიაში ჩატარებულმა ტურნემაც. გუნდი საგრძნობლადაა გაზრდილი. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამ ჩემპიონატში მისი ჩათვლის მოედანი არავის აუღია. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა გუნდთან უფრო მჭიდრო კავშირს რომ დაამყარებდეს, ამ კოლექტივისგან მეტია მოსალოდნელი.

კარგი შთაბეჭდილება მოახდინა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა.

ქუთაისისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რეგბისტები პირველად გამოჩნდნენ ასპარეზზე და ამჯერად მათი მოკრძალებული შედეგი საგანგაშო არ არის.

ტურნირმა ბევრი ნიჭიერი რეგბისტი გამოავლინა. ესენი არიან: „სპარტაკიდან“ — დ. ებრალიძე, ა. ტარიელაშვილი, ფ. გაბაძე, თ. გამცემლიძე, თ. ქურხიშვილი; უნივერსიტეტიდან — რ. ბერიძე, დ. შავდია, ვ. ბახტაძე, მ. ერიკაშვილი, ნ. ონიანი; პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან — ძმები ლ. და გ. გეგენავები, ო. ლიპარტელიანი, ჯ. მამრიკიშვილი, რ. მამულაშვილი; ქუთაისიდან — ბ. ხამაშურიძე; სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან — ა. გრიგალავა და რ. თავაძე. მათი სახით რესპუბლიკის მოწინავე გუნდებს საიმედო ცვლა ეზრდებათ.

თბილისში რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიება რეგბიში ასეთ მაღალ დონეზე პირველად გაიმართა. ტურნირის საუკეთესოდ ჩატარებისთვის პირადად ზრუნავდა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის განყოფილების გამგე გ. მეგრელიძე. ცენტრალურ მატჩებში კარგად იმსაჯა მოსკოველმა არბიტრმა გ. რაიკმა.

რესპუბლიკურ ტურნირში გამარჯვებული „სპარტაკის“ გუნდი საკავშირო პირველობაში გამოვა.

დ. თაქთაქიშვილი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: „სპარტაკის“ ახალგაზრდული ნაკრები.

ავტორის ფოტო.

## გუშინ...

მოსკოვსა და ერევანში გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამო“ — „შახტიორი“ და „არარატი“ — ცსკა. მოსკოვში მატჩის ძირითადი დრო უგოლოდ დამთავრდა, ერევანში კი მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 2:1. ამრიგად, მოსკოვში დამატებითი დროის წინ ცნობილი იყო სამი ნახევარფინალისტი: „დნეპრი“, თბილისის „დინამო“ და „არარატი“.

## რამდენიმე სტრიქონით

### ✦ ცხაკაია

ცხაკაიის დოსაafის რაიონულმა კომიტეტმა ხაიანი ქსოვილების ფაბრიკის სასროლეთზე ჩაატარა წვევამდელთა და რაიონის საშუალო სკოლების მეცხრეკლასელ მოსწავლეთა პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. ყველაზე მეტი — 48 ქულა მოაგროვა კ. გუგუშვილმა (1-ლი საშუალო სკოლა). მას 2 ქულით ჩამორჩა თანასკოლელი ს. ხარბედია, 46 ქულა დააგროვა გ. შონიამაც (მეხუთე სკოლა). გუნდური ტურნირი 1-ლი სკოლის კოლექტივმა მოიგო.

ე. გუგუნავა.

### ✦ ჭიათურა

ჭიათურის საქალაქო საბჭოს სოფლის სკოლების პირველობა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში ხუთ ზონად ჩატარდა. პროგრამაში იყო 100 მეტრზე რბენა, სიგრძეზე ხტომა, ბირთვის კვრა, სროლა და ღერძზე მიზიდვა. ზონალურ ტურნირებში გამარჯვებულები — ნიგოზეთის, ქვაციხის, ითხვისის, ზოდისა და კაცხის კოლექტივები ფინალში „მაღაროელის“ სტადიონზე შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

სულ ამ ღონისძიებაში 700 მოსწავლე მონაწილეობდა. მათგან 400-მდე ფიზკულტურელმა ნორმატივები ნაწილობრივ ჩააბარა.

ზ. ბარჯაძე.

# კარტინგები სტადიონზე



ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა რესპუბლიკური პირველობა კარტინგებით რბოლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის დოსააფის ავტო-მოტოსკოლის, რესპუბლიკური სპორტტექნიკური კლუბის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, თელავის, გარდაბნის, ბოლნისის, სამტრედიისა და ხაშურის სპორტსმენები. პარალელურად ჩატარდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კოლექტივების სამატჩო შეხვედრა.

სამი მოძმე რესპუბლიკის გუნდების ტურნირი მოიგეს მასპინძლებმა, რომლებმაც 521 ქულა მოაგროვეს. II ადგილზეა აზერბაიჯანის ნაკრები — 283, III — სომხეთის გუნდი — 197.

საქართველოს პირველობაში თბილისის სპორტტექნიკური კლუბის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ტ. სოკოლოვი, რ. ვასაძე, რ. ხიდაშელი, რ. ღლონტი, ა. წერუაშვილი და რ. აკოფოვი, 465 ქულა მოაგროვა. მომდევნო ადგილებზე არიან თბილისის ავტო-მოტოსკოლისა (259) და რუსთავის (257) გუნდები.

პირად პირველობაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: ჭაბუკებში — 50 კბ. სმ მოცულობისძრავიანი მანქანებით ს. სოკოლოვი, ა. ჩალაძე (ორივე — თბილისი) და ი. გორშკოვი (ბაქო); „125-ანებით“ — რ. ვასაძე, ა. ლვაბერიძე და რ. ბოსტოღანაშვილი (ყველა — თბილისი); ვაჟთა შორის — 125 კბ სმ მოცულობისძრავიანი მეორე კლასის მანქანებით — რ. ხიდაშელი, თ. ქორიძე (სამტრედია) და ვ. ალხოვიკი (სოხუმი), ხოლო მესამე კლასის მანქანებით — გ. აკოფოვი, ლ. ღლონტი და რუსთაველი ა. ლებედინსკი. „175-ანებით“ რბოლაში პირველი იყო რ. აკოფოვი, II ადგილზეა ვ. კოტელნიკოვი (ხაშური), III — პ. კალჩენკო (რუსთავი).

ო. კიკნაველიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების მომენტი.

რ. მაღრაძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არარატი" | 12 | 7 | 3 | 2 | 18—8 | 17 |
| „დინამო" თბ. | 13 | 7 | 3 | 3 | 16—7 | 17 |
| „კარპატი" | 12 | 7 | 2 | 3 | 21—13 | 16 |
| „დინამო" მ. | 12 | 6 | 4 | 2 | 13—7 | 16 |
| „შახტიორი" | 13 | 5 | 4 | 4 | 12—15 | 14 |
| ცსკა | 12 | 5 | 3 | 4 | 18—12 | 13 |
| „დინამო" კ. | 12 | 4 | 5 | 3 | 10—6 | 13 |
| „კრ. სოვეტ." | 13 | 4 | 5 | 4 | 12—12 | 13 |
| „დინამო" მნ. | 13 | 5 | 3 | 5 | 12—13 | 13 |
| „ჩერნომორეცი" | 13 | 4 | 5 | 4 | 13—17 | 13 |
| „ზენიტი" | 12 | 4 | 3 | 5 | 13—13 | 11 |
| „ტორპედო" | 13 | 4 | 3 | 6 | 11—18 | 11 |
| „სპარტაკი" | 13 | 4 | 2 | 7 | 9—13 | 10 |
| „დნეპრი" | 13 | 4 | 2 | 7 | 12—17 | 10 |
| „ლოკომოტივი" | 13 | 3 | 3 | 7 | 14—18 | 9 |
| „ზარია" | 13 | 1 | 4 | 8 | 4—19 | 6 |

## დინამოელთა პერსპექტივები

იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის დინამოელებს მოგება ჩაეთვალათ კიეველ თანაკლუბელებთან მატჩში ამ უკანასკნელთა განუცხადებელი მოთამაშის მონაწილეობის გამო, ჩვენ გუნდს ახლა ბევრად მეტი შანსი აქვს 38-ე ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავებისა.

ამას გარდა, მცირე ოქროს მედლების მოპოვების შესაძლებლობა აქვთ თბილისის „დინამოს" დუბლიორებსაც. მათ კონკურენციას უწევს ცსკა, რომელსაც ქულით ნაკლები აქვს დაკარგული. თბილისელმა დუბლიორებმა უნდა ითამაშონ მოსკოვის „ტორპედოსთან" (შინ) და „დინამოსთან" (სტუმრად), ხოლო ცსკა-მ — „კარპატისთან", „ჩერნომორეცთან" (ორივე — შინ) და „დნეპრთან" (სტუმრად).

საუკეთესო ბომბარდირის პრიზისთვის ბრძოლაში სადღეისოდ დაწინაურებულია „არარატის" თავდამსხმელი ნ. ღაზარიანი — 7 ბურთი. 6-6 გოლი აქვთ გატანილი თბილისელ დ. ყიფიანს და ერევნელ ა. ანდრეასიანს, მაგრამ, ვინაიდან ყიფიანი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამგზავრა ოლიმპიურ თამაშებზე, იგი ავტომატურად გამოეთიშა საპატიო პრიზისთვის მებრძოლთა რიგებს.

მიმდინარე ჩემპიონატში ჯერჯერობით შესრულდა მხოლოდ ერთი „ჰეთ-ტრიკი": თბილისის „დინამოს" თავდამსხმელმა რ. ჩელებაძემ სამი ბურთი გაიტანა „ზარიასთან" მატჩში.

ყველაზე მეტი მაყურებელი ჯერჯერობით ჰყავდა „არარატისა" და თბილისის „დინამოს" მატჩს: „რაზდანის" ტრიბუნებზე 60 ათასი მაყურებელი შეიკრიბა.

დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი მატჩის მოგებისთვის დაწესებულია „ფუტბოლ-ჰოკეის" რედაქციის სპეციალური პრიზი. აქ ლიდერობენ თბილისის დინამოელები, რომლებმაც ერთნაირი ანგარიშით — 3:0 — დაამარცხეს „კარპატი" და „ზარია", ხოლო „დნეპრი" — 4:1. ორი ასეთი გამარჯვება აქვს ცსკა-ს: 4:0 — „ტორპედოსთან", 3:0 — „ზარიასთან". დიდი ანგარიშით თითო შეხვედრა მოიგეს მოსკოვის „დინამომ", „არარატმა", „კარპატიმ", „სპარტაკმა, „ლოკომოტივმა" და „კრილია სოვეტოვმა".

## 2:0

თეირანი, 1 ივლისი. აქ სტუმრად მყოფმა ევროპის ჩემპიონმა ახალგაზრდულ გუნდებს შორის — სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა მესამე ამხანაგური მატჩი ჩაატარა ირანის ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს სლობოდიანმა და კრამარენკომ.

ირანში ჩატარებულ სამ მატჩში საბჭოთა ფეხბურთელებმა 1 წააგეს, 1 ფრედ დაამთავრეს და 1 მოიგეს.

## ვინ ითამაშებს...

ახლოვდება ევროპის საკლუბო ტურნირების კენჭისყრის დღე — 6 ივლისი.

საინტერესოა, ვინ მიიღებს საბჭოთა კავშირიდან მომავალ ტურნირებში მონაწილეობას?

ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამოვა შარშანდელი ჩემპიონი — კიევის „დინამო". თასების მფლობელთა თასისთვის იბრძოლებს გუნდი, რომელიც წლეულს მოიპოვებს სსრ კავშირის თასს, ხოლო უეფა-ს თასისთვის — შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — დონეცკის „შახტიორი" და გუნდი, რომელიც 38-ე ჩემპიონატში დაიკავებს I ადგილს.



## ჩემპიონები...

საგარეჯოში დამთავრდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირადგუნდური პირველობა, რომელიც კარგად იყო ორგანიზებული. შეჯიბრებაში 24 რაისაბჭოს გუნდები მონაწილეობდნენ. თითოეულ კოლექტივში იყო თითო ვაჟი, ქალი, ჭაბუკი და გოგონა.

გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ქუთაისის კოლექტივმა (მწვრთნელი ა. რაზოვსკი) — 21 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს ზუგდიდისა (მწვრთნელი ჟ. მზარელუა) და გეგეჭკორის (მწვრთნელი ჭ. გვალია) გუნდებმა — 18,5-18,5.

ვაჟთა დაფაზე I ადგილი მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა ჟ. მზარელუამ (ზუგდიდი) — 6 ქულა 7-დან. II ადგილზეა ცნობილი ეტიუდისტი, ოსტატობის კანდიდატი დ. გურგენიძე (საგარეჯოს რაიონი, სოფ. ჩაილური) — 5,5, III (კოეფიციენტთა ცხრილით) — ოსტატობის კანდიდატი მ. ჭიპაშვილი (კასპი) — 5,5.

ქალთა შორის უძლიერესი იყო ნ. ჯანჯღავა (ცხაკაია) — 6. II ადგილი ხვდა ე. ფახიროვას (ქუთაისი) — 5,5, მესამე — ვ. დანელიას (გეგეჭკორი) — 5.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში ჩემპიონის სახელი მოიპოვა ნ. ჩხაბერიძემ (ქუთაისი) — 6,5 ქულა, II ადგილზეა მ. სულავა (გეგეჭკორი) — ნ. დ. შამუგიამ (აფხაზეთი) და ზ. გურასპიშვილმა (თელავი) — 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს.

გოგონათა ტურნირში I ადგილი დაიკავა 10 წლის ნ. სიჭინავამ (გალი) — 5,5. ამდენივე ქულა მოაგროვა სსრ კავშირის ჩემპიონმა სოფლის მოჭადრაკე გოგონათა შორის ნ. იმხაძემ (მახარაძე), მაგრამ მას II ადგილი მიეკუთვნა, რადგან დამარცხდა სიჭინავასთან შეხვედრაში. III ადგილზეა ქუთაისელი ი. აბზიანიძე — 5.

თ. კობიაშვილი.

საგარეჯო.

## კიდევ ერთი ტური

მანილაში, ფიდე-ს საზონათშორისო ტურნირში XIV ტური გათამაშდა. ლიდერები თავგამოდებით იბრძოდნენ მოპოვებული პოზიციების შესანარჩუნებლად: გ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) ყაიმს დასჯერდა ვ. ულმანთან (გდრ). დაზავდნენ ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი) და ზ. რიბლი (უნგრეთი). ე. მეკინგს (ბრაზილია) დიდი წინააღმდეგობა გაუწია პ. ბაიასასმა (კანადა) და პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

პრეტენდენტის სახელისთვის ბრძოლაში კვლავ გააქტიურდა ვ. ცეშკოვსკი (სსრ კავშირი), რომელმაც უ. ბრაუნს (აშშ) მოუგო. ამერიკელმა ჩემპიონმა საბოლოოდ დაკარგა წარმატების იმედი. ეს მისი ზედიზედ მეხუთე წაგებაა. ცეშკოვსკის მეტოქეები ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) და ლ. კავალეკი (აშშ) დამარცხდნენ: პირველს ფ. გეორგიუმ (რუმინეთი) მოუგო, მეორეს — ს. მარიოტიმ (იტალია).

მ. სპასკი (სსრ კავშირი) დაუზავდა ტან-ლიან-ანს (სინგაპური), ო. პანომ (არგენტინა) სძლია ხ. ხარანდის (ირანი).

გადაიდო პარტიები: ი. ბალაშოვი (სსრ კავშირი) — მ. კინტეროსი (არგენტინა) და ე. ტორე (ფილიპინები) — ლ. პახმანი (გფრ).

მდგომარეობა 14 ტურის შემდეგ:

| | პ. | მ. | ყ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ჰორტი | 14 | 8 | 4 | 2 | 10 |
| მეკინგი | 12 | 7 | 5 | 0 | 9,5 |
| პოლუგაევსკი | 14 | 5 | 8 | 1 | 9 |
| ცეშკოვსკი | 13 | 5 | 6 | 2 | 8 |
| რიბლი | 14 | 5 | 6 | 3 | 8 |
| პანო | 13 | 6 | 3 | 4 | 7,5 |
| გეორგიუ | 14 | 4 | 7 | 3 | 7,5 |
| ლიუბოევიჩი | 13 | 5 | 4 | 4 | 7 |
| კავალეკი | 13 | 4 | 6 | 3 | 7 |
| ბალაშოვი | 13 | 4 | 6 | 3 | 7 |
| ულმანი | 13 | 5 | 4 | 4 | 7 |
| სპასკი | 14 | 3 | 8 | 3 | 7 |
| კინტეროსი | 12 | 5 | 3 | 4 | 6,5 |
| ბრაუნი | 14 | 3 | 6 | 5 | 6 |
| მარიოტი | 13 | 3 | 5 | 5 | 5,5 |
| ბაიასასი | 13 | 3 | 4 | 6 | 5 |
| ხარანდი | 13 | 3 | 2 | 8 | 4 |
| ტან-ლიან-ანი | 14 | 2 | 4 | 8 | 4 |
| პახმანი | 13 | 0 | 7 | 6 | 3,5 |
| ტორე | 12 | 1 | 4 | 7 | 3 |

## ფედერაციამ გაანაწილა

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ ამას წინათ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილენი სამ ნახევარფინალურ ტურნირში გაანაწილა. ნახევარფინალებში ითამაშებენ მსოფლიო პირველობის მომავალი საზონათშორისო ტურნირის საბჭოთა მონაწილენიც. თითოეულ ტურნირში 16 მოჭადრაკე ჩაებმება. ნახევარფინალები 4 აგვისტოს დაიწყება.

ტოლიატიში ითამაშებენ: საერთაშორისო ოსტატები ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), მ. ჩიბურდანიძე (თბილისი), ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი), ოსტატები თ. ხუგაშვილი (თბილისი), ა. გრინფელდი (კალინინგრადი), ო. პედკო (სოჭი), ლ. ზაიცევა (მოსკოვი) და სხვ. პოლტავაში — საერთაშორისო ოსტატები მ. ლიტინსკაია-შული (ლვოვი), ე. ფატალიბეკოვა (მოსკოვი), ლ. საუნინა (სვერდლოვსკი), ა. კისლოვა (ომსკი), ოსტატები ტ. კოსტინა (მოსკოვი) ნ. ალიოხინა (ვორონეჟი), ოსტატობის კანდიდატები ც. კახაბრიშვილი, ქ. მელაშვილი (ორივე — თბილისი) და სხვ. აქტიუბინსკში — საერთაშორისო ოსტატები ვ. ბორისენკო (ტაშკენტი), ა. ეპშტეინი (გორკი), ე. ახმილოვსკაია (კრასნოიარსკი), ოსტატები ა. ახშარუმოვა (მოსკოვი), ბ. მუსლიმოვა (ალმა-ათა), ლ. მულენკო (ზაპოროჟიე), მ. სამული (ტალინი), ლ. სემიონოვა (კიევი), ოსტატობის კანდიდატები ნ. გურიელი (თბილისი), ნ. რუჩიევა (მოსკოვი) და სხვ.

თითოეული ტურნირიდან ფინალის საგზურებს მიიღებენ I-IV ადგილებზე გასული მოჭადრაკეები. ფინალი გაიმართება 1 ოქტომბრიდან თბილისში, ჭადრაკის სასახლეში.

# დიდი იმედით

ჰავანა. (საკდესი). კუბის სპორტის მესვეურები დიდი იმედით ელიან ამ ქვეყნის წყალბურთელთა გამოსვლას მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში.

„კუბის გუნდი ახალგაზრდულია, — ამბობს ნაკრების მწვრთნელი ხუან ალმენ ეირსი. — ჩვენ ჯერ კიდევ გვაკლია გამოცდილება. ამით აიხსნება გამოსვლათა არასტაბილურობაც. ამავე დროს, ეს სახეობა მაინცდამაინც გავრცელებული არ არის ამერიკის კონტინენტზე, მიუხედავად ყველა ამ სირთულისა, გვინდა მონრეალში უფრო მეტი წარმატებით გამოვიდეთ, ვიდრე მიუნჰენში" (კუბელებმა იქ IX ადგილი დაიკავეს — რედ.).

კუბის ნაკრებში შეყვანილია მიუნჰენის ოლიმპიადის მხოლოდ ხუთი წევრი: ოსკარ პერიჩე, ოსვალდო გარსია, ხორხე რისოსი, ეუხენიო ალმენეირო და ხესუს პერესი.

ოლიმპიური თამაშების გახსნამდე დარჩა 13 დღე

MONTREAL

## დაიწყო ფინალური ეტაპი

ჰამილტონი, 2 ივლისი. გუშინ კანადის ამ ქალაქში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის ფინალური მატჩები. როგორც ცნობილია, გუნდებს, რომლებიც მონრეალის ოლიმპიადის სამი საგზურისთვის იბრძვიან, ფინალში გადმოჰყვათ ჯგუფური ტურნირების შედეგები (ურთიერთშეხვედრებისა).

იუგოსლავიის ნაკრებმა ადვილად მოუგო ჰოლანდიელებს — 102:78. ამ შეხვედრის ბედი ფაქტიურად შესვენებამდე გადაწყდა: პირველი ტაიმი იუგოსლავიელმა კალათბურთელებმა 17 ქულით მოიგეს — 55:38.

მექსიკელები თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე 2 ქულას აგებდნენ ბრაზილიელებთან — 67:69. დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენა მექსიკის ნაკრების ვეტერანმა რაგამ: მან 12 ქულა შესძინა კოლექტივს და გამარჯვებაც მოუტანა მას — 85:78.

ესპანელებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის ძლიერი გუნდი — 94:89. ესპანელთა საუკეთესო სნაიპერმა ველასმა თავის კოლექტივს 28 ქულა შესძინა.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 3 | 3 | 0 | 248—222 | 3 |
| იუგოსლავია | 3 | 2 | 1 | 263—236 | 2 |
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 263—254 | 2 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 2 | 227—236 | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 1 | 2 | 230—235 | 1 |
| ჰოლანდია | 3 | 0 | 3 | 235—283 | 0 |

## ოლიმპიელები იუნიორთა შორის

ტალინი, 2 ივლისი. (საკდესი). 19 წლის ზანგი სპრინტერი ჰარვი გლენსი, მსოფლიო რეკორდსმენი 100 მეტრზე რბენაში, აშშ-ს იუნიორთა მძლეოსნური ნაკრების ერთ-ერთი ვარსკვლავი საბჭოთა თანატოლებთან მატჩში ჩაებმება. 17 წლის მოსწავლის დუაიტ ევანსის სახელი ნაკლებადაა ცნობილი, მაგრამ ახალგაზრდა ნიჭიერმა სპორტსმენმა ახლახან 200 მეტრზე რბენაში 20,22 აჩვენა. გლენსიცა და ევანსიც უკვე აშშ-ს ოლიმპიური ნაკრების წევრები არიან და მონრეალისთვის ემზადებიან. ტალინის სტარტები ორივე ქვეყნის იუნიორებისთვის ოსტატობის შესანიშნავი სკოლა იქნება. თავის დროზე ამგვარ მატჩში გაიმარჯვა რენდი უილიამსმა, რომელიც ერთი თვის შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

## ოლიმპიური ტურნირის კალენდარი

აი, როგორია ფეხბურთელთა ოლიმპიური ტურნირის კალენდარი:

18 ივლისი. გდრ — ბრაზილია (ტორონტო), ესპანეთი—ზამბია (შერბრუკი), პოლონეთი — კუბა (მონრეალი), ირანი — ნიგერია (ოტავა).

19 ივლისი. საფრანგეთი — მექსიკა (ოტავა), ისრაელი — გვატემალა (ტორონტო), სსრ კავშირი — კანადა (მონრეალი), კორეის სახალხოდემოკრატიული რესპუბლიკა — განა (შერბრუკი).

20 ივლისი. ესპანეთი — ბრაზილია (მონრეალი), გდრ — ზამბია (მონრეალი), ირანი — კუბა (ოტავა), პოლონეთი — ნიგერია (ტორონტო).

21 ივლისი. მექსიკა — ისრაელი (მონრეალი), საფრანგეთი — გვატემალა (შერბრუკი), კსდრ — კანადა (ტორონტო), სსრ კავშირი — განა (ოტავა).

22 ივლისი. ზამბია — ბრაზილია (ოტავა), გდრ — ესპანეთი (მონრეალი), ნიგერია — კუბა (ტორონტო), პოლონეთი — ირანი (მონრეალი).

23 ივლისი. გვატემალა — მექსიკა (შერბრუკი), საფრანგეთი — ისრაელი (მონრეალი), კანადა — განა (ტორონტო), სსრ კავშირი — კსდრ (ოტავა).

25 ივლისს გაიმართება მეოთხედფინალური მატჩები, 27 ივლისს — ნახევარფინალები, 29 ივლისს — მატჩი III ადგილისთვის. 31 ივლისს მონრეალში დანიშნულია ფინალური თამაში.

## უკმაყოფილო რეკორდსმენი

ნიუ იორკი. (საკდესი). 62 წლის უოლტერ პენიშმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 192 კილომეტრზე შეუჩერებლად ცურვაში, მაგრამ თავისი შედეგით კმაყოფილი მაინც არ იყო. „მე ძალიან მინდა გავიგო, რა მანძილს გავცურავ საბოლოოდ ქანცის გაწყვეტამდე" — განაცხადა მან.

თავდაპირველად პენიშს განზრახული ჰქონდა კი უესტიდან ცურვით გაევლო მანძილი მაიამი ბიჩამდე, მაგრამ ზვიგენებისგან დამცველი ბადე უვარგისი აღმოჩნდა და მან გადაწყვიტა 25 საათის შემდეგ ცურვა შეეწყვიტა.

1972 წელს პენიშმა 144 კილომეტრი გაცურა, მაგრამ იძულებული გახდა ცურვა შეეწყვიტა: ზვიგენმა შეუტია დამცველ ბადეს. მას შემდეგ პენიში სამჯერ გამოვიდა სტარტზე და ხან ავადმყოფობამ შეუშალა ხელი, ხან ზვიგენებმა აიძულეს წყლიდან ამოსვლა.

# წლევანდელი უიმბლდონის პირველი ჩემპიონი — კრის ევერტი

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, უიმბლდონის ტურნირში მოასპარეზე ქალთა ერთეულების თანრიგის ფინალში გავიდნენ ამერიკელი კრის ევერტი და ავსტრალიელი ივონ კოული. ნახევარფინალებში მათ შესაბამისად დაამარცხეს მარტინა ნავრატილოვა (ჩეხოსლოვაკია) — 6:3, 4:6, 6:4 და შოტლანდიელი ვირჯინია უეიდი — 6:1, 6:2.

ვაჟთა ერთეულების ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან რუმინელი ილიე ნასტასე და შვედი ბიორნ ბორგი. დიდებულ სპორტულ ფორმაში მყოფმა ნასტასემ ამჯერადაც ბრწყინვალედ ითამაშა მექსიკელ რაულ რამირესთან ნახევარფინალურ მატჩში. უზადო ტექნიკისა და იმპროვიზაციის მქონე რუმინელმა ჩოგბურთელმა თავისი ტაქტიკური სქემით წარმართა შეხვედრა და სძლია შესანიშნავად მოთამაშე რამირესს — 6:2, 9:7, 6:3.

მეორე ნახევარფინალური შეხვედრა: ბორგი — ამერიკელი როსკო ტანერი ასევე დაძაბული იყო, თუმცა სანახაობრივი თვალსაზრისით ჩამოუვარდებოდა ზემოაღწერილ მატჩს. ბორგმა გასაღები მოუძებნა ტანერის „ატომურ" მოწოდებას, თავისი ტაქტიკა მოახვია თავს მეტოქეს და მეთოდურად მიაღწია მიზანს — 6:4, 9:8, 6:4.

ვაჟთა წყვილების ფინალში გავიდნენ ავსტრალიელები როს კეისი და ჯეფ მასტერსი, რომლებმაც ნახევარფინალურ შეხვედრაში ბობ ლუტცსა და სტენ სმითს სძლიეს — 6:4, 6:3, 6:4, აგრეთვე, ინტერნაციონალური დუეტი ბრაიან გოთფრიდი და რამირესი. ამ უკანასკნელებმა ფინალის საგზური ინდოელი ძმების ვიჯეი და აზანდ ამრიტრაჯების დამარცხებით (6:3, 7:5, 8:6) მოიპოვეს.

ქალთა წყვილების თანრიგის ნახევარფინალებში კინგმა და სტოუვმა ანგარიშით 6:4, 6:3 დაამარცხეს ჩარლზი და მეპინი (6:4, 6:3), ხოლო ევერტმა და ნავრატილოვამ ბოსჰოფსა და კლოსს სძლიეს — 6:3, 6:0.

წარმატებით აიღეს სტარტი იუნიორთა (18 წლის ასაკამდე) შეჯიბრებებში საბჭოთა სპორტსმენებმა გრუზმანმა და ჩმირიოვამ. გრუზმანმა პირველ წრეში ინდოელი კრიშნანი დაამარცხა (9:7, 6:3), მეორეში — ინგლისელი ეფლტონი (6:2, 6:4), ხოლო მესამეში — ავისი (6:1, 8:9, 6:4), მაგრამ შემდეგ წააგო ელტერთან (გფრ) — 4:6, 3:6, მოსკოველმა ქალიშვილმა აჯობა ბრაზილიელ სესარევოს (6:2, 6:3), ფრანგ დიუპიუს (6:0, 6:1) და ამერიკელ ანტონოპოლისს (2:6, 6:2, 6:2).

13 წლის მოსკოველმა სვეტლანა ჩერნევამ უიმბლდონში დებიუტი გამარჯვებით აღნიშნა, როცა ანგარიშით 8:6, 8:6 დაამარცხა 17 წლის იამაიკელი სემი. მაგრამ შემდეგ იგი ძალიან ძლიერ ჩოგბურთელს მ. კრიუგერს (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) შეხვდა და დამარცხდა — 1:6, 2:6. ეს ის კრიუგერია, რომელმაც ქალთა ტურნირში მეოთხე წრემდე მიაღწია და კინაღამ უეიდს მოუგო.

და აი, გამოვლინდა უიმბლდონის პირველი წლევანდელი ჩემპიონი. ეს გახლავთ ევერტი, რომელმაც სამ პარტიაში სძლია კოულის — 6:3, 4:6, 8:6.

ორივე მეტოქე ბევრ შეცდომას უშვებდა როგორც მოწოდებისას, ისე სხვადასხვა დარტყმის დროს. ევერტს წარმატება მოუტანა მატჩის უფრო ზუსტად ჩატარებულმა „ეპილოგმა". მთელი შეხვედრის მანძილზე იგი ცდილობდა უკანა ხაზთან „დაემწყვდია" კოული და ბადესთან მწვავე თამაშის საშუალება არ მიეცა მისთვის. ავსტრალიელიც დაჰყვა მეტოქის სურვილს და მეტისმეტად ფრთხილად თამაშობდა.



როგორც ცნობილია, ამ რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა სტუდენტთა საკავშირო თამაშების თბილისის ზონის ტურნირი ფრენბურთში ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. ამ ასპარეზობაში დიდ წარმატებას მიაღწიეს თბილისელმა სპორტსმენებმა, რომლებმაც I ადგილები დაიკავეს. კიევის ქალთა და მოსკოვის ვაჟთა გუნდებთან ერთად მათ ოდესის ფინალური ტურნირის საგზურები მოიპოვეს.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: თბილისის ქალთა (მეორე რიგში შუაში — მწვრთნელები ც. აბუაშვილი და შ. მარგიშვილი) და ვაჟთა (პირველ რიგში, მარცხნივ — მწვრთნელი ი. ნიკოლაიშვილი) გუნდები.

ჯ. კასრაძის ფოტოები.



# იარდებზე მორბენალთა რეკორდები აღარ აღირიცხება მხოლოდ ელექტროქრონომეტრაჟით

ლოს-ანჟელესი. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია მონრეალის ოლიმპიური თამაშების დროს გამართულ კონგრესზე განიხილავს თავისი ტექნიკური კომისიის მეტად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რომლებიც უპირველეს ყოვლისა ანგლოსაქსური ქვეყნებისა და მათი ფანატიკოსი სტატისტიკოსების დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს. ტექნიკური კომისიის აზრით, მომავალში აღარ იქნება საჭირო მსოფლიო რეკორდების აღრიცხვა იარდიან და მილიან დისტანციებზე (გამონაკლისია მხოლოდ კლასიკური მანძილი — 1 მილი, ამ დისტანციაზე რბენის მიმზიდველობისა და ემოციურობის გამო).

400 მეტრზე ნაკლებ მანძილებზე დრო ამიერიდან მხოლოდ ელექტრული წამმზომებით აღირიცხება. ეს იმას ნიშნავს, რომ რეკორდების სიიდან ამოიშლება ხელის წამმზომებით აღრიცხული შედეგები. რეკორდების ანალებიდან გაქრება მრავალრიცხოვანი 9,9 წამი. 100 მეტრზე რბენაში დარჩება მხოლოდ 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ჯიმ ჰაინსის მიერ ნაჩვენები შედეგი — 9,95 წამი.

მეორე რეკორდი, რომელსაც ეს გადაწყვეტილება შეეხება, არის გი დრიუს (საფრანგეთი) მიერ შარშან მოპოვებული შედეგი (13,0) 110 მეტრზე თარჯრბენში. ელექტრული საზომით ამ დისტანციაზე საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ამერიკელ როდ მილბერნს — 13,24 წამი (1973 წელი).

შეჯიბრებებში მხოლოდ ელექტრული ხელსაწყოების გამოყენების წინააღმდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ილაშქრებდნენ იმ საბაბით, რომ ეს ძვირი ჯდებოდა და მეტად რთულ ტექნიკურ მოთხოვნებს აყენებდა. ვინაიდან დღეს ამ ტექნიკას ბევრი მწარმოებელი ჰყავს და ელექტროწამმზომებიც გაიაფდა (ისეთი ქრონომეტრებიც კი დამზადდა, რომელთა ჩართვა ელექტროქსელშიც კი შეიძლება. ზოგიც ბატარეით მუშაობს), ტექნიკურ კომისიას მიაჩნია, რომ მოწინააღმდეგეთა არგუმენტები უსაფუძვლოა.

გერმანულიდან თარგმნა
ზ. აფაქიძემ.

## 26-ე ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 26-ე ტირაჟისა, რომელიც 1976 წლის 30 ივნისს ჩატარდა მოსკოვში.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი გამოიცნო მოსკოვის ერთმა მცხოვრებმა, რომელიც 5000 მანეთს მიიღებს. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3528 მანეთია (174 ბილეთი), ოთხისთვის — 68 (11578), სამისთვის — 3 (209475).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი გამოიცნო ვოროშილოვგრადის მცხოვრებმა და 5000 მანეთი მოიგო. ის, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, 1217 მანეთს მიიღებს (313 ბილეთი). ოთხი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 46 მანეთია (9867), სამისთვის — 3 (139658).

მოგებული თანხა გაიცემა 11 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით. (საკდესი).

## ქალების საქმე არაა

ცნობილი ბოლივიელი კინომსახიობი ნადა პანელი ფეხბურთის მოთამაშე ქალების ზეფი გახდა. იგი დასთანხმდა ლაპასის საერთაშორისო ტურნირში პირველი დარტყმით შეეყვანა თამაშში ბურთი. მსახიობმა ისე უხეიროდ დაარტყა, რომ ორი თითი მოიტეხა. კლინიკაში, სადაც ფეხს უხვევდნენ, მან ჟურნალისტებს განუცხადა: „ახლა კი ვჭვი არ მეპარება, რომ ფეხბურთის თამაში ნამდვილად არ ყოფილა ქალების საქმე".

ბურჟუაზიული სპორტის ზნე-ჩვეულებანი

# სიკვდილში დამნაშავეა „კიკბოქსი"

ტოკიო, 2 ივლისი. (საკდესი). 14 წლის მოსწავლე ტოსიკაძუ ტოგო ამ დღეებში გარდაიცვალა ქალაქ ოსაკის საავადმყოფოში. ექიმებმა ასეთი დიაგნოზი დასვეს: „სისხლჩაქცევა ტვინში ძლიერი დარტყმის შედეგად". სრული საფუძველი გვაქვს ამ ტრაგედიაში დამნაშავედ ჩავთვალოთ პროფესიული სპორტის სახეობა „კიკბოქსი".

„კრივის" ეს სახეობა მოწინააღმდეგეებს უფლებას აძლევს ერთმანეთს ურტყან არა მარტო ხელი, არამედ ფეხიც, თანაც, დარტყმა შეიძლება სხეულის ნებისმიერ ნაწილში. ასეთი „დაკანონებული ჩხუბი" ჩვეულებრივ იმით მთავრდება, რომ ერთ-ერთი „პარტნიორი" საკაცით გააქვთ რინგიდან. „მატჩების" ორგანიზატორებს არ აინტერესებთ, თუ ვინ გააქვთ საკაცით, ისინი ფიქრობენ მხოლოდ იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი ფული ჩაიჯიბონ. ამიტომ, რაც მეტია მძიმე ნოკაუტი, მით უფრო „სანახაობრივია" მატჩები, მაყურებელთა რაოდენობაზე კი უშუალოდაა დამოკიდებული ორგანიზატორთა დივიდენდები.

ასეთ შემაძრწუნებელ სანახაობებს ყოველდღე აჩვენებენ იაპონიის ტელევიზიით და მათი მაცქერალი ბავშვებიც „მოკრივეთა" მიბაძვას იწყებენ. ასე მოუვიდა ივნისის ერთ-ერთ დილას ოსაკელ მოსწავლეს ტოსიკაძუ ტოგოს. მან თავის მეგობართან გამართა „კიკბოქსის" მატჩი. იმ მომენტში, როცა ტოსიკაძუს უნდოდა ამხანაგისთვის ფეხი გაერტყა ყბაში, მან ფეხში სტაცა ხელი მეტოქეს. ტოსიკაძუმ დაკარგა წონასწორობა და ძლიერად დაარტყა კეფა ბეტონის ქვაფენილს. სასწრაფო დახმარების მანქანამ ბავშვი უახლოეს საავადმყოფოში გააქანა, სადაც იგი გონს მოუსვლელად გარდაიცვალა.

პროფესიული კრივის საქმოსნები დიდ მოგებაში არიან ახალგაზრდების ბადეში გაბმით, რომლებსაც ჰპირდებიან მსოფლიო დიდებას და „ოქროს მთებს". ახალგაზრდა იაპონელები, ვისაც სჯერა ამ დაპირებისა, რინგზე ხშირად პოულობენ... მხოლოდ სიკვდილს.

აქ, ტოკიოში, ყველას ახსოვს 22 წლის იაპონელი პროფესიონალი მოკრივის ნაბორუ ოიაკავას ტრაგედია. იგი ფიზიკურად მოუმზადებელი გამოვიდა რინგზე ფილიპინელ ფრედ ზაიასთან ორთაბრძოლისთვის, სასიკვდილო დარტყმა მიიღო თავში და იმავე დღეს გარდაიცვალა საავადმყოფოში. სულ კი იმ დროიდან მოყოლებული, რაც პროფესიული კრივი „კულტივირებულია" იაპონიაში, მატჩებისა და წვრთნის დროს რინგებზე დაიღუპა სამ ათეულზე მეტი მოკრივე, მათს შესახებ კი ვინც პროფესიული კრივით დაღუპა თავისი სიჭაბუკე და ხეიბარი გახდა, სტატისტიკა, უბრალოდ, ხმას არ იღებს.

# იბრძვიან ქალები

იაპონიის ილუსტრირებული ყოველკვირეულის „ასახი გურაფუს" ერთ-ერთ ბოლო ნომერში დაბეჭდილია ფოტორეპორტაჟი პროფესიულ ჭიდაობაში ქალთა შეხვედრის შესახებ. სურათებზე აღბეჭდილი არიან გამხეცებული მეტოქეები, რომლებიც ერთმანეთს თმებით ათრევენ, ფეხებში ეჯაჩებიან და პანღურს ურტყამენ.

როგორც საკდესის კორესპონდენტს იაპონიის პროფესიული ჭიდაობის ფედერაციაში უთხრეს, ამჟამად ამ ქვეყანაში თითქმის სამი ათეული ქალი ირჩენს თავს „პრორესლინგით". ვაჟთა პროფესიული ჭიდაობა იაპონიაში თანდათან კარგავს პოპულარობას და მისი ორგანიზატორების შემოსავალიც სულ უფრო მცირდება. (საკდესი).

# დანით ...ფეხბურთის მინდორზე

ჩხუბი მინდორზე და მკვლელობა. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ასე დამთავრდა ტელ-ავივში ფეხბურთელთა ორი ადგილობრივი გუნდის მატჩი. შეხვედრის დროს მინდვრის მასპინძელთა გულშემატკივრები, რომლებიც უკმაყოფილო დარჩნენ არბიტრის გადაწყვეტილებით, მინდორზე გაცვივდნენ და ჩხუბი ატეხეს. ერთ-ერთმა მათგანმა, 17 წლის შიმონ კარვეხმა მსაჯის გადაწყვეტილების მიმართ პროტესტის ნიშნად დანა ჩასცა სტუმრების გუნდის ერთ-ერთ წევრს. დარტყმა სასიკვდილო აღმოჩნდა. ფეხბურთელი იქვე, მინდორზე გარდაიცვალა. (საკდესი).

# თადარიგიანი ხალხი

ვენა, 1 ივლისი. (საკდესი), აქ ივლისის პირველი დღიდანვე იყიდება ბილეთები... ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატისა, რომელიც გაისად 21 აპრილს აიღებს სტარტს. როგორც ცნობილია, ჩემპიონატი თავს მოუყრის ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირის, შვეციის, ფინეთის, გფრ-ის, აშშ-ს, რუმინეთისა და კანადის გუნდებს. ამავე დროს ცნობილია, რომ შვეციის, ფინეთის, აშშ-ს და კანადის გუნდები გაძლიერებული იქნებიან პროფესიონალი მოთამაშეებით, რომლებიც ჰოკეის ეროვნული ლიგისა და საერთაშორისო ასოციაციის კლუბებში გამოდიან.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ შეჯიბრებაში კანადის ნაკრების მონაწილეობა განსაკუთრებით აღვივებს ტურნირისადმი ინტერესს. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა დაიწყეს ბილეთების კომპლექტების გაყიდვა ორმოცივე მატჩისთვის. შეჯიბრების პირველ ნახევარში ამ აბონემენტთა მფლობელებს შეუძლიათ ნახონ ოთხ-ოთხი შეხვედრა, ბოლოს — ორ-ორი. ჩემპიონატი დაიწყება რუმინეთისა და შვეციის ნაკრები გუნდების მატჩით. ჩემპიონატის „დებიუტანტი" — კანადის ნაკრები, პირველ მატჩში აშშ-ს ეროვნულ გუნდს შეხვდება.

# რასისტთა მფარველები განაწყენდნენ

ლონდონი. 2 ივლისი. (საკდესი). რასისტთა მფარველები განაწყენდნენ... როცა დევისის თასის გათამაშების კომიტეტმა გადაწყვიტა სანქციები არ მიეღო მექსიკის ჩოგბურთელთა წინააღმდეგ, რომელთაც უარი თქვეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდთან თამაშზე. შეერთებული შტატების ჩოგბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ამ ქვეყნის ნაკრები დევისის თასის მომავალი წლის გათამაშებიდან... მოხსნა. ამერიკელთა გადაწყვეტილებას მხარს უჭერენ მხოლოდ ინგლისი და საფრანგეთი. აშშ-ს წარმომადგენელთა გადაწყვეტილების შესახებ ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა უეინ რიდმა თქვა, რომ ამ ამბავს ბევრი პრობლემა მოჰყვება, მაგრამ საერთოდ ტურნირის ჩატარებაზე იგი გავლენას ვერ მოახდენს. „დევისის თასის გათამაშება გაგრძელდება", — ხაზგასმით აღნიშნა რიდმა.

# 96 მეტრი წყალქვეშ

ფრანგმა ჟაკ მაიოლმა ამას წინათ შესანიშნავი რეკორდი დაამყარა ყოველგვარი დამხმარე აპარატის გარეშე წყალქვეშ ყვინთვაში. მსოფლიო რეკორდი დამყარდა ელბის სანაპიროზე. მაიოლმა ჯერ რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა იოგების სისტემით და საწვრთნელად ჩაყვინთა 25 მეტრზე.

80-წუთიანი შესვენების შემდეგ ექვსმა კაცმა სპეციალური აპარატებით ჩაყვინთა 80, 40, 50, 70 და 90 მეტრ სიღრმეში. შემდეგ წყალში ჩაეშვა ორი ტელეოპერატორი და ფოტოგრაფი. დადგა მაიოლის ჯერი. იგი რამდენიმე წამს კატარღის ბორტზე გაჩერდა, მშვიდად სუნთქავდა და შემდეგ ჩაყვინთა. მის მიერ საკონტროლო პუნქტების გავლას აღნიშნავდა მეთვალყურე და კატარღას აცნობებდა. დასასრულ გაისმა უკანასკნელი „მოწმის" ნიშანი, რომელმაც კატარღაზე მყოფთ შეატყობინა, რომ მყვინთავმა სარეკორდო პუნქტს მიაღწია. ჩაყვინთვა ზუსტად 90 წამს გაგრძელდა. კიდევ 98 წამის შემდეგ მაიოლი ზედაპირზე გამოჩნდა და ექიმების ალყაში მოხვდა, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მისი ჯანმრთელობა სავსებით ნორმალურია.

მაიოლის ექსპერიმენტი მარტო სპორტული რეკორდის დამყარებას როდი ისახავდა მიზნად. მას სამეცნიერო მიზნებიც ჰქონდა: გამოკვლევა იმისა, თუ რა ცვლილებებს განიცდის სისხლი ასეთ სიღრმეში.

# მძიმე გამოცდა

კატმანდუ. (საკდესი). მძიმე გამოცდა ელოდათ ინგლისელ მთამსვლელებს ცენტრალურ ჰიმალაიში მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე (8848 მ). მწვერვალიდან დაშვებისას ინგლისის არმიის სერჟანტმა ჯონ სტოუქსმა და კაპრალმა მიშელ რეინმა საბაზო ბანაკს ვერ მიაღწიეს, ქარიშხალში მოჰყვნენ და იძულებული გახდნენ ღამე თოვლის გამოქვაბულში გაეთიათ.

„ჩვენ არ დაგვიძინია, რადგან ვიცოდით, რომ დაძინება სიკვდილს ნიშნავდა, — თქვა სტოუქსმა. — თავს მოდუნების უფლებას არ ვაძლევდით, ყოველ წუთს ერთმანეთს ხელისკვრით ვაფხიზლებდით მთელი ღამის განმავლობაში. ამ ერთ ღამეში ლამის ყველა მსოფლიო პრობლემა გადავწყვიტეთ".

დილით მათ, ქანცგაწყვეტილებმა და გათოშილებმა, ბანაკს მიაღწიეს, მაგრამ ექსპედიცია ტრაგედიის გარეშე მაინც არ დამთავრებულა: 10 აპრილს უფსკრულში ჩაიჩეხა და დაიღუპა მისი ერთ-ერთი წევრი დევიდ ტომპსონი.

მაინც რატომ იჩენენ ასეთ შეუპოვრობას ადამიანები ჯომოლონგმასთან ჭიდილში, რომელიც უკვე ბევრჯერაა დაპყრობილი და პირველდამპყრობის დიდებაც კარგა ხანია გაყოფილია?

ინგლისის ფედერაციის ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი, ლეიტენანტი ჯონ პინოკი ამ შეკითხვაზე ასეთ პასუხს იძლევა: „ეს მწვერვალი მოითხოვს განსაკუთრებულ ამტანობას და აზროვნების ლოგიკას, მარშრუტის ზედმიწევნით, უშეცდომოდ დაგეგმვას. ყოველი მთამსვლელისთვის ეს სიმაღლე უნიკალური ექსპერიმენტია, რომლის შეცვლაც თითქმის შეუძლებელია".

რედაქტორი შ. კაკაბაძე.